პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 89 (999) | ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.



ს. გაბარაევი



თ. ელერდაშვილი

* * *

სსრ კავშირის 1956 წლის ჩემპიონები ჭიდაობა სამბოში.

## დიდი ტურნირი

ალიოხინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის დამთავრებამდე სულ სამი ტური დარჩა. თორმეტი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს მსოფლიო ჩემპიონი ბოტვინიკი. მასთან გადადებულ პარტიაში შვედმა გროსმაისტერმა შტალბერგმა უაზროდ მოიჩინა შემდგომი წინააღმდეგობა და თავი დამარცხებულად ცნო. დიდი ოსტატობით ჩაატარა ბოტვინიკმა რთული დაბოლოება სლივასთან. ორი პაიკის შეწირვით მან შეუქმნა საშამათო ქსელი მოწინააღმდეგის მეფეს. 46-ე სვლაზე პოლონელი ოსტატი დანებდა. ბოტვინიკს 9 ქულა აქვს და ნახევარი ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეებს სმისლოვსა და ტაიმანოვს. სმისლოვმა ნაიდორფთან ჩინებულად ჩაატარა პარტიის პირველი ნახევარი, მაგრამ მერე სერიოზული შეცდომა დაუშვა. არგენტინელმა გროსმაისტერმა აინაზღაურა მატერიალური დანაკლისი და უკვე პარტიის გადადების წინ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. XII ტურში სმისლოვი ცხარე ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეუთანხმდა უნცკერს.

ბრონშტეინი, რომელმაც 8 ქულა მოაგროვა, მეოთხე ადგილზეა. უკანასკნელ XII ტურში მან დაამარცხა უნგრელი გროსმაისტერი საბო. ბრონშტეინს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან გროსმაისტერები გლიგორიჩი (იუგოსლავია) და ნაიდორფი (არგენტინა). შეჯიბრების ყველა ჩამოთვლილი ექვსი მონაწილე ინარჩუნებს ტურნირში გამარჯვების თეორიულ შანსებს.

## მასობრივი შეჯიბრება

დასასრულს უახლოვდება საკავშირო მასობრივი ტურნირი. მერვე ტურში დემურიამ მოუგო კაკაბაძეს. ვეტოხინი დამარცხდა ოსტატობის კანდიდატ შახ-ზადესთან, გიორგაძემ წააგო ოსტატ ვატნიკოვთან (მოსკოვი). ყაიმით დამთავრდა ბლაგიძელიფშიცის (ბელორუსია) და პაიჭაძესტეპუნოვის (კარელიის ავტონომიური რესპუბლიკა) პარტია. მეცხრე ტურში პაიჭაძე, რომელიც უზბეკ ოსტატობის კანდიდატ ელბეკოვს ეთამაშებოდა, დასაწყისშივე უხეშად შეცდა, წააგო ლაზიერი და დანებდა. ვეტოხინმა დაამარცხა უკრაინელი მოჭადრაკე ლიპკინი. ყაიმით დამთავრდა გოროდეცკი (უკრაინა)-გიორგაძის, კასპაროვ (კარელიის ავტონომიური რესპუბლიკა)-ბლაგიძის, კაკაბაძე-სეროვის (თურქმენეთი) და დემურია-გიტერმანის (მოლდავეთი) შეხვედრები.

## რესპუბლიკური რეკორდი

მოსკოვში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის საწყლოსნო კლუბში ვამართულ მოცურავეთა შეჯიბრებაზე თბილისელმა სპორტის ოსტატმა ბ. ნიკიტინმა 100 მეტრი ნებისმიერი სტილით გაცურა 58 წამში და დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი.

მოსკოვში, ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში, სპორტული პრესის სრულიად საკავშირო სექციამ მოაწყო XVI ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

პრეს-კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ნ. რომანოვმა. მან განაცხადა:

— XVI ოლიმპიური თამაშები, რომელიც ეწყობა მიმდინარე წლის 22 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე მელბურნში, თვალსაჩინო მოვლენაა საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში. ამ ასპარეზობისაკენ მიპყრობილია მსოფლიოს ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის ყურადღება.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენები დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში და ახლა ემზადებიან იმისათვის, რომ ავსტრალიაში შეხვდნენ თავიანთ მრავალ უცხოელ მეგობარს. შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის ავსტრალიაში გაიგზავნება საბჭოთა სპორტული დელეგაცია 325 კაცის შემადგენლობით. დელეგაციასთან ერთად ავსტრალიაში გაემგზავრება 30-ზე მეტი მსაჯი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 8 ოქტომბერს მელბურნში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაციის პირველი ნაწილი. ძირითადი ნაწილი გაემგზავრება ნოემბრის პირველ რიცხვებში. ამხ. რომანოვმა დაასახელა გუნდების შემადგენლობა სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია მძლეოსანთა გუნდი. მის შემადგენლობაშია 60 ვაჟი და 24 ქალი. მოკლე დისტანციებზე რბენაში მონაწილეობას მიიღებენ: ბორის ტოკარევი, ლეონიდ ბარტენევი, იური კონოვალოვი, არდალიონ იგნატიევი. 10.000 მეტრზე რბენაში გამოვა ვლადიმერ კუცი. სიმაღლეზე ხტომაში—იგორ კაშკაროვი და ვლადიმერ პოლიაკოვი, სიგრძეზე ხტომაში — ოლეგ ფედოსეევი და იგორ ტერ-ოვანესიანი. უროს ტყორცნაში ამას წინათ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა მიხეილ

# საბჭოთა სპორტსმენები მელბურნის ოლიმპიადაზე

კრივონოსოვმა — 67 მეტრი და 32 სანტიმეტრი. მასთან ერთად ოლიმპიურ ასპარეზობაზე გაემგზავრება ანატოლი სამოცვეტოვი, რომელიც უროს ტყორცნის 65 მეტრზე. მელბურნის ოლიმპიადისათვის გულმოდგინედ ემზადება ათჭიდელი ვასილ კუზნეცოვი.

ბირთვის კვრაში მონაწილეობას მიიღებენ გალინა ზიბინა, ზინაიდა დოინიკოვა და თამარ ტიშკევიჩი, ბადროს ტყორცნაში — ნინო პონომარიოვა და ირინა ბეგლიაკოვა, სიგრძეზე ხტომაში — გალინა პოპოვა და ნადეჟდა დვალიშვილი, სიმაღლეზე ხტომაში — ვალენტინა ბალოდი, რბენაში — ირინა ბოჩკარიოვა, ვერა კრეპკინა, მარიამ იტკინა, მარიამ გოლუბნიჩაია, ნინო ვინოგრადოვა და სხვები.

ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ ტანმოვარჯიშეები ვალენტინ და სოფიო მურატოვები, ვიქტორ ჩუკარინი, ბორის შახლინი, ალბერტ აზარიანი, ლარისა ლატინინა, თამარ მანინა და სხვები.

შტანგისტთა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში არიან საერთაშორისო შეჯიბრებათა პრიზიორები მონაწილენი: ვლადიმერ სტოგოვი, ივანე უდოდოვი, თევდორე ბოგდანოვსკი, არკადი ვორობიოვი, ალექსი მედვედევი და სხვა ძალოსნები, რომელთაგან მრავალს პრიზიორების დაუმყარებია მსოფლიო რეკორდები თავიანთ წონით კატეგორიებში. უინტერესო არ იქნება აღინიშნოს, რომ ალექსი მედვედევმა ამას წინათ აჩვენა საუკეთესო შედეგი სამჭიდში — 490 კილოგრამი.

საბჭოთა მოკრივეების გუნდში, რომელიც მელბურნში გაემგზავრება, არიან ევროპის ჩემპიონატების მონაწილენი ვლადიმერ სტოლნიკოვი, ბორის სტეპანოვი, რომუალდას მურაუსკასი, ვლადიმერ ენგიბარიანი, გენადი შატკოვი და სხვები.

ოლიმპიურ ასპარეზობაზე თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი გუნდები 8 კაცის შემადგენლობით თვითეული. მრავალი საბჭოთა მოჭიდავე კარგად ცნობილია საზღვარგარეთ. ესენი არიან ვახტანგ ბალავაძე, გოგი სხირტლაძე, ბორის კულაევი, ნიკოლოზ სოლოვიოვი, ვლადიმერ სტაშკევიჩი, ვლადიმერ მანეევი, გივი კარტოზია.

ათი საბჭოთა სპორტსმენი ოლიმპიურ ასპარეზობაზე მონაწილეობას მიიღებს ტყვიით სროლაში; გამოცდილ ოსტატებთან ერთად აქ იქნება ახალგაზრდობაც. სასტენდო სროლაში მონაწილეობას მიიღებს ორი საბჭოთა სპორტსმენი.

საუკეთესო საბჭოთა ველოსიპედისტები მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრებებში ტრეკზე. მათ შორის მსოფლიო რეკორდსმენი როსტისლავ ვარგაშკინი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები ბორის რომანოვი და ბორის სავოსტინი. ექვსი საბჭოთა სპორტსმენი დადგება ოლიმპიური საგზატკეცილო რბოლის სტარტზე. აქ იქნებიან ცნობილი საერთაშორისო მშვიდობის ველორბოლის მონაწილე ნიკოლოზ კოლუმბეგი, საბჭოთა კავშირის მრავალდღიან რბოლაში გამარჯვებული ვიქტორ კაპიტონოვი, სსრ კავშირის ჩემპიონი იური კოლედოვი და სხვები.

საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრებ გუნდში არიან იან კრუმინში, მიხეილ სემიონოვი, იური ოზეროვი, კაზის პეტკიავიჩუსი, სტასის სტონკუსი, არკადი ბოჩკარიოვი და სხვები.

11 უძლიერესი სპორტსმენი შედის საბჭოთა წყალბურთელების გუნდში.

საბჭოთა ნიჩბოსნები მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრებებში ერთმოსასმელიან, ორმოსასმელიან, ოთხმოსასმელიან ბაიდარზე საჭით, ორმოსასმელიან ლია ბაიდარზე უსაჭოდ, ოთხმოსასმელიანზე უსაჭოდ და საჭით, აგრეთვე რვამოსასმელიანზე.

საბჭოთა მოფარიკავეების გუნდში 21 კაცია. მათ შორის არის სამი ქალი: ვალენტინა რასტვოროვა, ნადეჟდა შიტიკოვა და ემა ეფიმოვა.

მოცურავეთა გუნდში გამოცდილ ოსტატებთან ერთად შედის ნიჭიერი ახალგაზრდობა. ესენი უწინარეს ყოვლისა არიან ხარის იუნიჩევი, რომელმაც ამას წინათ 200 მეტრი გაცურა 2 წუთსა და 37,2 წამში (წელს მესამე დროა 50-მეტრიანი აუზისათვის), ფრიდრიჰ დოსაევი, რომელმაც ამავე დისტანციაზე აჩვენა დრო 2 წუთი და 39,5 წამი (სეზონის მეხუთე შედეგი მსოფლიოში), მოსწავლეები ბორის ნიკიტინი და გენადი ანდროსოვი.

შეჯიბრებებში ტრამპლინიდან და კოშკიდან წყალში ხტომაში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონები ტატიანა კარაკაშიანცი და ვალენტინა ჩუმიჩევა, ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი კოშკიდან და ტრამპლინიდან ხტომაში რომან ბრენერი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გენადი უდალოვი, გენადი გაპკინი და სხვები.

თანამედროვე ხუთჭიდის გუნდში შედიან მსოფლიო ჩემპიონი კონსტანტინე სალნიკოვი, ალექსანდრე ტარასოვი, ივანე დერიუგინი და იგორ ნოვიკოვი.

ფეხბურთელთა ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი შემდეგი შემადგენლობით: მეკარეები ლევ იაშინი და ბორის რაზინსკი; მცველები — ნიკოლოზ ტიშჩენკო, ანატოლი ბაშაშკინი, მიხეილ ოგონკოვი, ბორის კუზნეცოვი; ნახევარმცველები — ალექსი პარამონოვი, იგორ ნეტო, ანატოლი მასლენკინი, იოსებ ბეცა; თავდამსხმელები — ბორის ტატუშინი, ანატოლი ისაევი, სერგი სალნიკოვი, ანატოლი ილინი, ედუარდ სტრელცოვი, ნიკიტა სიმონიანი, ვალენტინ ივანოვი, ვლადიმერ რიჟკინი.

მელბურნში გაემგზავრებიან 50-ზე მეტი ქალაქის სპორტსმენები. ესენი არიან მოსწავლეები, სტუდენტები, მუშები, მოსამსახურეები, ინჟინრები ექიმები, მასწავლებლები, საბჭოთა არმიის ოფიცრები, რკინიგზელები და სხვა პროფესიათა წარმომადგენლები.

სსრ კავშირის ოლიმპიურ გუნდში მეტწილად ახალგაზრდობაა. 325 სპორტსმენიდან, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში შედიან, მხოლოდ 76 კაცი მონაწილეობდა 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში.

დასასრულ ნ. ნ. რომანოვმა თქვა:

— საბჭოთა სპორტსმენები დარწმუნებული არიან, რომ მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშები ხელს შეუწყობს მსოფლიოს ახალგაზრდობის დაახლოებას, განამტკიცებს ურთიერთობასა და მეგობრობას ყველა ქვეყნის სპორტსმენებს შორის და წინ წასწევს სპორტის განვითარებას. საბჭოთა კავშირის ფიზკულტურელები მხურვალე სალამს უგზავნიან ყველა ქვეყნის და განსაკუთრებით ავსტრალიის სპორტსმენებს, რომლის ხალხმა და ახალგაზრდობამ ბევრი რამ გააკეთეს მომავალი ოლიმპიური შეჯიბრების მოწყობისათვის.

ნ. ნ. რომანოვმა უპასუხა საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტების შეკითხვებზე.

## გაზეთი „ფესტივალი"

18 ოქტომბერს გამოვიდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მოსამზადებელი საერთაშორისო კომიტეტის ორგანოს გაზეთ „ფესტივალის" პირველი ნომერი. გაზეთი გამოდის რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და გერმანულ ენებზე.

„ჭაბუკებო და ქალიშვილებო, შევხვდეთ ერთმანეთს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში!" — ამ ანშლაგით იხსნება გაზეთ „ფესტივალის" პირველი გვერდი.

პირველ ნომერში მოთხრობილია ფესტივალის მოსამზადებელი საერთაშორისო კომიტეტის დამფუძნებელი სხდომის შესახებ, გამოქვეყნებულია ნაწყვეტები დელეგატთა სიტყვებიდან, მიმართვა მსოფლიო ახალგაზრდობისადმი, სხდომის კომუნიკე. გაზეთში დაბეჭდილია ინფორმაციები სხვადასხვა ქვეყნებში ფესტივალისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

გაზეთის სხვა გვერდებზე მკითხველი იპოვის საინტერესო ცნობებს ფესტივალის პროგრამაზე, წაიკითხავს მოსკოველი ტაქსის მძღოლის დ. ზელიაევის წერილს ფესტივალის ქალაქის შესახებ და სხვა მასალებს.

მოსკოვი უკვე ემზადება III საერთაშორისო სპორტული თამაშებისათვის. ამის შესახებ მოთხრობილია გაზეთის სპორტულ გვერდზე. გაზეთი „ფესტივალი" ატარებს კონკურსს თემაზე: „დაასახელე 1956 წლის ოლიმპიური ჩემპიონები".

განყოფილებაში „სხვადასხვა ხალხთა თამაშები და ცეკვები" გამოქვეყნებულია ბირმული თამაში „ჩინლონი".

ნომერი კარგად არის ილუსტრირებული ფოტოებითა და ნახატებით.



სპორტს გატაცებით ეტანებიან როგორც ნორჩები, ისე ხანშესულები. ნათქვამს ნათლად ადასტურებს ფოტოსურათიც, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა დ. იაკობაშვილმა გადაიღო. მასზე აღბეჭდილია 77 წლის მოხუცი სპორტსმენი ალექსანდრე მიხეილის-ძე მხეიძე.

77 წელმა ა. მხეიძე ვერ დაამარცხა. სპორტისადმი სიყვარული იმდენად ღრმად არის მასში გამჯდარი, რომ იგი დღესაც წარმატებით უჩვენებს მაყურებელს ვაჟკაცთა სპორტის — ცხენოსნობის რთულ ელემენტებს.

# საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა აქტივის კრება

გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა აქტივის კრება პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად; აქტივის კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

მოხსენებით — „სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შედეგები და საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები“ გამოვიდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. ვ. სიხარულიძე.

— ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა და სპორტსმენებმა, — თქვა მან, — რესპუბლიკის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადებისა და მისი ჩატარების საქმეში. სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში ფართოდ გაიშალა მასობრივი სააგიტაციო მუშაობა. რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ეწყობოდა ლექცია-მოხსენებები, სპორტული კინოფილმების ჩვენება და რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები.

მრავალი მაღალკვალიფიციური მწვრთნელი და სპორტსმენი მივლინებული იქნა რესპუბლიკის რაიონებში ნიჭიერ სპორტსმენთა გამოსავლინებლად, ძირეული კოლექტივებისადმი დახმარების გასაწევად, ადგილობრივი სპარტაკიადების ჩასატარებლად.

რესპუბლიკას არ ახსოვს მასობრივ შეჯიბრებათა ისეთი წელი, როგორიც მიმდინარე წელი იყო, რომელმაც დაგვანახვა, რომ საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ბევრი რამ გაუკეთებიათ ხალხთა სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის და ბევრი კიდევ გასაკეთებელი აქვთ.

რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალის შემდეგ ნათელი შეიქმნა, რომ საქართველოს ნაკრები საკმაოდ ძლიერად გამოიყურებოდა. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა მოსკოვში, ხალხთა სპარტაკიადაზე. 12-დღიანი ბრძოლების შემდეგ საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ საერთო მეხუთე ადგილი დაიკავა.

ამ შეჯიბრებაზე განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები, წყალბურთელები, კლასიკური და თავისუფალი მოჭიდავეები, ნიჩბოსნები, წყალში მხტომელები. მოჭიდავეებმა ძნელაძემ, სხირტლაძემ, ცალქალამანიძემ, მოცურავე ნიკიტინმა, ტყვიით მსროლელმა ანანიკიანმა სსრ კავშირისა და სპარტაკიადის ჩემპიონობაც მოიპოვეს. სპარტაკიადის მიმდინარეობის დღეებში საქართველოს 25-მა სპორტსმენმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

ერთის შეხედვით შედეგები არც ისე ცუდია, მაგრამ თუ საქმის არსს საფუძვლიანად, ღრმად ჩავწვდებით, დავინახავთ, რომ საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მთლიანად არ გამოუყენებიათ თავიანთი შესაძლებლობანი. ზოგიერთ წარმატებათა იქით იმალება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომელთა დროულად დაძლევა რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას უკეთესი ადგილის მოპოვების საშუალებას მისცემდა.

საბჭოთა კავშირში ცნობილი სპორტსმენები სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. დუმბაძე, გ. კარტოზია, სპორტის გამოცდილი ოსტატები ვ. ჭეპნიაური, რ. ცირეკიძე მათთვის შეუფერებელ ადგილებზე გამოვიდნენ. ამ ამხანაგებმა ზედმეტად შეაფასეს თავიანთი შესაძლებლობანი, თვითდამშვიდებას მიეცნენ და შედეგიც სავალალო მოიპოვეს. ხალხთა სპარტაკიადის ფინალში განსაკუთრებით ცუდად გამოვიდნენ ველოსიპედისტები — XIII ადგილი, მოკრივეები — XII, ფრენბურთელები (ვაჟები) და ტყვიით მსროლელები — X, ვაჟი კალათბურთელები და ძალოსნები — IX და ა. შ.

ველოსიპედისტთა დაბალი შედეგები გამოწვეულია მწვრთნელების ხაბურზანიასა და ფარცვანიას ცუდი მუშაობით. ისინი ნაკრები გუნდის მომზადების პერიოდში არასათანადო ყურადღებას აქცევდნენ სპორტსმენთა მიერ ამტანობისა და სისწრაფის გამომუშავებას. მათი ვარჯიში ხშირად გასეირნების ხასიათს ატარებდა.

ხალხთა სპარტაკიადაზე — განაგრძო სიხარულიძემ, — ნათლად გამომჟღავნდა ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის განვითარებაში არსებობს. ეს ხარვეზები დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. პირველ რიგში საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს. აუცილებელია ღრმად შევიგნოთ ის ჭეშმარიტება, რომ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი ძირითადი რგოლია მასობრივ-სპორტულ მუშაობაში. მომხსენებელს მოჰყავს ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში მუშაობის ჩაშლის ფაქტები.

გორის ბამბეულის კომბინატში 4.000 მუშა-მოსამსახურეა, რომელთაგან სპორტსაზოგადოება „კრასნოე ზნამიას“ წევრია მხოლოდ 270 კაცი. კომბინატს არ გააჩნია სპორტული ბაზა, ინვენტარი, ამიტომ ახალგაზრდობა თითქმის მთლიანად მოწყვეტილია სპორტს. ასეთივე სავალალო მდგომარეობაა 26 კომისრის სახელობის ქარხანაში, თბილისის რძის ქარხანაში, მესამე სავაგონო უბანში, ნავთლუღის სამგზავრო სადგურში და ბევრ სხვა წარმოება-დაწესებულებაში.

მომხსენებელმა გააკრიტიკა „ბურევესტნიკის“, „კრასნოე ზნამიას“, „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოები, რომლებიც სათანადოდ ვერ ახორციელებენ კონტროლსა და ხელმძღვანელობას ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი. ძირეული კოლექტივების მუშაობისადმი დაუინტერესებლობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი. 8 თვის მანძილზე მან მხოლოდ ერთხელ განიხილა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის საკითხი. ხოლო თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტს ეს მნიშვნელოვანი საქმე ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოჰგონებია.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისადმი ყურადღების შესუსტების შედეგად, აღნიშნა მომხსენებელმა, ჩვენი რესპუბლიკა წელს ჩამორჩა მთი ნიშნოსნებისა და თანრიგოსანი სპორტსმენების მომზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. მთ II საფეხურზე ნიშნოსანთა მომზადების დავალება 15 ოქტომბრისათვის შესრულებული იყო 66 პროცენტით, პირველთანრიგოსნებისა — 40 პროცენტით, მეორეთანრიგოსნებისა — 61 პროცენტით, მესამეთანრიგოსნებისა — 58 პროცენტით.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისათვის. ჩვენმა სპორტსმენებმა მიიღეს ახალი მოედნები, დარბაზები. თბილისში, გორში, ბორჯომში, ქუთაისსა და სოხუმში დაიწყო ღია საცურაო აუზების მშენებლობა. მალე რესპუბლიკის მოცურავეთა განკარგულებაში იქნება 8 აუზი. დასასრულს უახლოვდება „ბურევესტნიკის“ სტადიონის მშენებლობა თბილისში, მძლეოსნური მანეჟის მოწყობა ლენინის სახელობის სტადიონზე, დაიწყო დიდი სადემონსტრაციო დარბაზის მშენებლობა საბურთალოს ყოფილი ბაზრის ტერიტორიაზე.

მაგრამ სპორტული ბაზების მშენებლობის ტემპი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. იშვიათი როდია სპორტული ბაზების მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხების არაკეთილსინდისიერი ხარჯვის ფაქტები. მაგალითად, ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის სტადიონს არა აქვს სარბენი ბილიკები, მოუწყობელია გასახდელები და საშხაპეები, შეკეთებას საჭიროებს ფეხბურთის მინდორი. მაგრამ სტადიონის დირექციამ სტადიონის რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილი 250.000 მანეთით, ნაცვლად იმისა, რომ იგი ამ გადაუდებელი სამუშაოების შესრულებაზე გამოეყენებია, სტადიონს შემოავლო რკინის ღობე, რაც აუცილებელი არ იყო. სამი წელია ჭიანურდება „ვოდნიკის“ სტადიონის მშენებლობა ფოთში. გადაუდებელ შეკეთებასა და დამთავრებას საჭიროებს თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის, გორის, ზუგდიდის, სტალინირის, ოჩამჩირის, აბაშის, თელავის, ახალქალაქის, ხაშურის სტადიონები.

მომხსენებელმა უსაყვედურა სავაჭრო ორგანიზაციებს, რომლებიც რესპუბლიკის სპორტსმენებს ცუდად ამარაგებენ სპორტული ინვენტარით, აღნიშნა, რომ ძალზე დაბალია არტელ „სპორტის“ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. რეორგანიზაცია უნდა მოხდეს ფაბრიკა „დინამოს“ მუშაობაში.

შემდეგ ამხ. სიხარულიძე შეეხო ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მოსწავლეთა სპორტული აღზრდისადმი ბევრგან უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ, რაზეც ნათლად მიუთითებს ის ფაქტი, რომ 71-ე სკოლის დირექციამ მოსწავლეთა ძალებით მოწყობილი კალათბურთის მოედანი და მძლეოსნური სექტორი საცდელ ნაკვეთად აქცია. მომხსენებელმა წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მაგალითისამებრ თბილისშიც მოეწყოს პიონერთა და მოსწავლეთა სტადიონი, რაც საუცხოო ბაზა იქნება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

თავის სიტყვაში ამხ. სიხარულიძემ მკაცრად გააკრიტიკა სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტებისა და უცხო ენათა ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრები, რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადებისათვის.

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეს, თქვა ამხ. სიხარულიძემ, სერიოზულ ზიანს აყენებს ხელმძღვანელი ფიზკულტურული მუშაკების ხშირი დენადობა, მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონში სამჯერ შეიცვალა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე; ამ თანამდებობაზე აქა-იქ ჯერ კიდევ ვხვდებით შემთხვევით ადამიანებს, რომლებსაც არც საჭირო ცოდნა და გამოცდილება აქვთ და არც საქმისადმი შესტკივათ გული. ეს ბევრჯერ გამოწვეულია იმით, რომ რაიონის ხელმძღვანელები კომიტეტის თავმჯდომარეს ათავისუფლებენ და ნიშნავენ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეუთანხმებლად.

მომხსენებელმა უსაყვედურა აგრეთვე ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ცენტრალურ საბჭოებსა და ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტს, რომლებიც ზოგჯერ არ ავლენენ გულისხმიერებას რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების საჭიროებისადმი.

ფიზკულტურელები და სპორტსმენები, — თქვა დასასრულს ამხ. სიხარულიძემ, — უნდა აღვზარდოთ სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით. ისინი მოწინავენი უნდა იყვნენ შრომაში, სწავლასა და სპორტში — ამას მოითხოვენ ჩვენგან სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციები რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივის ენერგიული დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მიაღწიონ მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას საქართველოში.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა, პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა მუშაკებმა.

კრების თავმჯდომარე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მ. კუჭავა სიტყვას აძლევს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს გ. ჯეჯელავას.

საქართველოს ფეხბურთელებს, თქვა გ. ჯეჯელავამ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის სახელოვანი ტრადიციები აქვთ. მაგრამ უკანასკნელ წლებში თბილისის „დინამო“ წარუმატებლად გამოდის საკავშირო ჩემპიონატებში. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ფეხბურთმა ჩვენს რესპუბლიკაში დაკარგა მასობრივი ხასიათი, რის შედეგადაც არ გვყავს ძირითადი შემადგენლობის სამედო ცვლა. ადრე „დინამოს“ გუნდის შემადგენლობა განუწყვეტლივ ივსებოდა პერიფერიების ნიჭიერი ფეხბურთელებით. ახლა კი ასე არ ხდება, რადგან ადგილებზე სათანადო სიმაღლეზე არ დგას სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა.

ფეხბურთში ჩამორჩენის მეორე მიზეზად გ. ჯეჯელავამ დაასახელა მოედნების სიმცირე. თბილისში, მაგალითად, 12 მოედანია მაშინ, როცა ბუდაპეშტში ფეხბურთის მოედნების რიცხვი 240-ს აღემატება. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ფეხბურთის მოედნებს თითქოს დისონანსი შეაქვს ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლში. საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

გ. ჯეჯელავამ უსაყვედურა თბილისის ოფიცერთა სახლის სპორტულ კლუბს, რომელმაც უარი თქვა ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობის პერიოდში ვაეძლიერებინა რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი თავისი სამი მოთამაშით. ეს ფაქტი რომ არ ყოფილიყო, თქვა გ. ჯეჯელავამ, მაშინ ჩვენს გუნდს შეეძლო გამოსულიყო არა მეორე, არამედ უფრო საპატიო ადგილზეც.

საქართველოს ჩემპიონმა სიმძიმეების აწევაში ი. ქართველიშვილმა აქტივის მონაწილეებს გააცნო ხალხთა სპარტაკიადაზე ჩვენი შტანგისტების წარუმატებლობის მიზეზები. რესპუბლიკის შტანგისტთა ნაკრებ გუნდში მთლიანად ჩაშლილი იყო პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, ცალკეულ სპორტსმენებს გაზვიადებული წარმოდგენა შეექმნათ საკუთარ შესაძლებლობებზე, თავი იჩინა ყოყოჩობამ, ქედმაღლობამ. ამის სავალალო შედეგები მწარედ ვიწვნიეთ და ხალხთა სპარტაკიადაზე მხოლოდ მე-9 ადგილი დავიკავეთ.

რესპუბლიკაში ძალოსნობის განვითარებას, თქვა ი. ქართველიშვილმა, დიდად აფერხებს ის გარემოება, რომ წამყვან მწვრთნელთა შორის ადგილი აქვს ინტრიგას, არაკოლეგიალურ დამოკიდებულებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მთელ კოლექტივზე.

შემდეგ ი. ქართველიშვილი შეეხო გაზეთ „ლელოს“ მუშაობას და აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში სპორტის შემდგომი განვითარების მისაღწევად საჭიროა გაიზარდოს გაზეთ „ლელოს“ პერიოდულობა და ტირაჟი, გამოიცეს თეორიული ჟურნალი ფიზკულტურასა და სპორტში.

აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა თავისი სიტყვის დიდი ნაწილი დაუთმო საქართველოს ალპინისტთა მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებულ მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევებს. ჩვენმა ალპინისტებმა ბოლო სამი წლის განმავლობაში დაიპყრეს 9 [illegible] დასაძლევი მწვერვალი, ამათგან 7 მწვერვალი ადამიანის მიერ მანამდე ფეხშეუდგამი, ხოლო 2 — ახალი გზით.

ნ. კეცხოველმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ უკანასკნელ ხანებში თანდათანობით დავიწყებას მიეცა ალპინიზმის პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათი. შემთხვევითი როდია, რომ ბევრი ჩვენი მეცნიერი საუცხოო ალპინისტი იყო. ისინი ლაშქრობებში მონაწილეობდნენ იმისათვის, რომ გამოეკვლიათ და ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ მარადიული თოვლის სამეფო. ნ. კეცხოველმა განაცხადა, რომ საჭიროა ზემო სვანეთში შეიქმნას საქართველოს ალპინისტთა ბანაკი.

ნ. კეცხოველი ვრცლად შეეხო სპორტის ქართულ ხალხურ სახეობებს. რატომ არ ანიჭებენ სპორტის ოსტატის წოდებას ქართული ჭიდაობის მოწინავე წარმომადგენლებს? კითხულობს იგი.

ამ საკითხს სინათლე უნდა მოეფინოს. მომავალი რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში, თქვა სიტყვის დასასრულს ნ. კეცხოველმა, აუცილებლად უნდა შევიტანოთ სპორტის ისეთი ქართული ხალხური სახეობები, როგორიცაა ლელობურთი, ფარბურთი და სხვა.

ტრიბუნაზე ადის სპორტის ოსტატი ტ. კომისარენკო, რომელიც დამსწრეთ მოუთხრობს საქართველოს ტანმოვარჯიშეთა შედეგების შესახებ.

ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორმა ა. ფალავანდიშვილმა აღნიშნა, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას სერიოზულად უშლის ხელს ის, რომ ჯერ კიდევ არაა დამთავრებული ინსტიტუტის სასწავლო კაბინეტებისა და სპორტული ბაზების მშენებლობა და კეთილმოწყობა. შემდეგ მან ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც რესპუბლიკაში არსებობს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის განვითარებაში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორმა რ. დვალმა აღნიშნა, რომ სწავლა და სპორტი ნაყოფიერად უნდა შევუხამოთ ერთმანეთს. სპორტში მეცადინეობა კეთილსასურველ გავლენას ახდენს ჩვენი ახალგაზრდობის შრომითსა და აკადემიურ მიღწევებზე. მაგრამ ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ მოსწავლეების, სტუდენტების გადატვირთვა სპორტით, შეჯიბრებებში მონაწილეობით. ხშირად სტუდენტი ზედიზედ მონაწილეობს შეჯიბრებებში, როგორც სტუდენტი, როგორც ამა თუ იმ საზოგადოების წარმომადგენელი და ბოლოს, როგორც რაიონის თუ ქალაქის ნაკრები გუნდის წევრი. ეს იწვევს მის სპორტულ გადაღლას და უარყოფითად მოქმედებს აკადემიურ მაჩვენებლებზე.

უმაღლეს სასწავლებლებში, თქვა რ. დვალმა, მწვრთნელებსა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს უფრო ნაკლები გასამრჯელო ეძლევათ, ვიდრე ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში. ამიტომაც ჩვენი მწვრთნელებიც სარფიან საქმეს ეტანებიან.

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ბ. პაიჭაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დარჩენილია სპორტის გარეშე. არავითარი სპორტული მუშაობა არ წარმოებს სტუდქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდებთან. იგი არ დაეთანხმა გ. ჯეჯელავას განცხადებას იმის თაობაზე, თითქოს მართალი არ იყვნენ ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა, პრესა, როცა „დინამოს“ გუნდს მიუთითებდნენ საქართველოს ფეხბურ-

(დასასრული იხ. მე-8 გვ.).

# საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა აქტივის კრება

(დასასრული)

...ს მდიდარი ტრადიციების დავიწყე... ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ...ლა მივჩქმალოთ ეს ტრადიციები. ...სთან საჭიროა დაუყოვნებლივ გა...ღვათ პრაქტიკული ნაბიჯები ...ნი წამყვანი ფეხბურთელების თა...ის კლასის ასამაღლებლად, საიმე... რეზერვის შესაქმნელად. „დინა...“ ფეხბურთელთა გუნდის სათა...იგო შემადგენლობა, თქვა ბ. პა...ძემ, არავითარ შემთხვევაში არ ...ძლება ჩაითვალოს ოსტატთა ...ლად, ასეთი ცვლა ჩვენ უნდა ვე...ოთ ბავშვთა მასობრივ ფეხბურთ...

...საქართველოს კომპარტიის ქუთა...ის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ...ძემ ილაპარაკა რესპუბლიკის ...რე ინდუსტრიული ცენტრის ...ზკულტურელთა მიღწევა-ნაკლო...ნებებზე.

...ქართველოს კომკავშირის ცენტრა...ური კომიტეტის მდივანმა ამხ. თ ჯა...ოძემ გააკრიტიკა კომკავშირის ...განიზაციები, რომლებიც ვერ იჩე... საჭირო უნარსა და აქტივობას ...სობრივ-ფიზკულტურული მუშაო... გასაჩაღებლად. საქართველოს ...კავშირელთა 40 პროცენტი თავს ...დებს სპორტს. თ. ჯანელიძე და...ლებით შეჩერდა იმ ამოცანებზე, ...მლებიც საქართველოს კომკავში...ლო და ფიზკულტურული ორგა...ზაციების წინაშე დგას რესპუბლი...ური და საკავშირო ფესტივალებისა... მზადებასთან დაკავშირებით.

...თ. ჯანელიძის გამოსვლის შემდეგ ...მჯდომარე ამხ. მ. კუჭავა აცხა...ა, რომ შემოსულია წინადადება ...ქმნას კომისია, რომელიც განიხი... საქართველოს კომპარტიის ...ტრალური კომიტეტისა და საქარ...ველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ...დგენილების პროექტს „საბჭოთა ...შირის ხალხთა 1956 წლის სპარტა...ადაში საქართველოს სპორტული ...ლეგაციის მონაწილეობის შედეგე...ა და რესპუბლიკაში მასობრივ-...ზკულტურული და სპორტული მუ...ობის შემდგომი გაუმჯობესების ...ნსძიებათა შესახებ“.

...მისიის წევრთა არჩევის შემდეგ ...ადება შესვენება.

...სვენების შემდეგ აქტივის კრე... ...ავმჯდომარეობდა საქართვე... კომკავშირის ცენტრალური ...ტეტის მდივანი ამხ. თ. ჯანე... ...ივე სიტყვას აძლევს სპორტის ...ხურებულ ოსტატს ტ. გოკიელს. ...ლეოსნობა ერთერთი წამყვანი ...ობაა,—ამბობს იგი,—მაგრამ მისი ...თარების დონე რესპუბლიკაში ... კიდევ არ არის სათანადო სიმაღლეზე, განსაკუთრებით ძირეულ კოლექტივებში. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ჩვენი მწვრთნელების უმეტესობა დღემდე ძველი მეთოდით მუშაობს, არ მიდიან რაიონებში, არასათანადოდ იბრძვიან ნიჭიერი სპორტსმენების გამოსავლინებლად. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ აქ ჩამოთვლილ ნაკლოვანებათა გარდა რესპუბლიკა წლების მანძილზე ჩამორჩება მაღალი თანრიგის მძლეოსანთა მომზადების საქმეში.

შარშან გეგმით გათვალისწინებული 8 ოსტატის ნაცვლად მომზადდა მხოლოდ 1(!)

პერიფერიებში მძლეოსნობის განვითარებისათვის არასათანადო ზრუნვაზე მიუთითებს კიდევ ერთი ფაქტი. თელავის ზონალურ სპარტაკიადაზე მონაწილე 140 მძლეოსნიდან ვერცერთმა ვერ უჩვენა II თანრიგის შედეგიც კი.

ტ. გოკიელმა ილაპარაკა აგრეთვე მძლეოსნური ბაზების მწვავე ნაკლებობაზე და არსებულის უხარისხო რემონტზე. აღნიშნა, რომ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, გორის სტადიონებს დღემდე არ გააჩნიათ მძლეოსნობის სექტორები, მათი რემონტი შეუწყნარებლად ჭიანურდება.

აჭარის ფიზკულტურელთა საქმიანობის, მათი მიღწევა-ნაკლოვანებების შესახებ აქტივს მოუთხრო აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. თხილაიშვილმა.

აჭარაში ფიზკულტურა და სპორტი ჯერ კიდევ არაა საკმაოდ მასობრივი, — თქვა მან, — ეს განსაკუთრებით ქალთა შესახებ ითქმის. რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე აჭარის სპორტული ღირსების დაცვაში ხშირად მხოლოდ ვაჟები მონაწილეობენ.

მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად აქ სათანადოდ როდი იბრძვიან, პირიქით, ზოგან რაიონის ხელმძღვანელები ხელსაც უწყობენ არსებული ბაზების განადგურებას. მაგალითისათვის ამხ. თხილაიშვილს მოჰყავს ქობულეთის იპოდრომის გადახვნის ამბავი. შემდეგ მან გააკრიტიკა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭო, რომელმაც 6 წლის განმავლობაში ვერ შეძლო ქობულეთის სტადიონის შეკეთება.

ხალხთა სპარტაკიადაზე კალათბურთელ ვაჟთა დაბალი შედეგების მიზეზებზე ილაპარაკა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გუნდის კაპიტანმა ო. ქორქიამ, იგი განსაკუთრებით შეჩერდა სპორტის ამ სახეობის რეზერვზე და აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში კალათბურთელთა სრულფასოვანი რეზერვის შესაქმნელად მხოლოდ კეკელიძე და ბაბახანიდი მუშაობენ.

ხაშურის კომკავშირის რაიკომის მდივანმა ა. ბარათაშვილმა რაიონში მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები მხოლოდ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ცუდი მუშაობითა და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სუსტი დახმარებით ახსნა, არაფერი თქვა კომკავშირის რაიკომისა და კომკავშირული ორგანიზაციების მხრივ ფიზკულტურის ძირეული კოლექტივებისადმი უყურადღებობაზე.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ხიკუბამ დამსწრეთ გააცნო აფხაზეთის სპორტის დღევანდელი სახე. იგი განსაკუთრებით შეჩერდა სპორტული ინვენტარის სიმცირეზე. ლეიბების უქონლობის გამო სოხუმში მუშაობა შეწყვიტა ჭიდაობის სექციამ. აფხაზეთში შეუწყნარებლად ჭიანურდება სსრ კავშირის ნაკრები გუნდების სამხრეთის სავარჯიშო ბაზების მშენებლობა, რომელსაც საქართველოს ქალაქისა და სოფლის მშენებლობის სამინისტრო აწარმოებს. ამ ორგანიზაციას დღეისათვის ათვისებული აქვს მხოლოდ ნახევარი მილიონამდე მანეთი. ამ ბაზების მშენებლობის დროულად დამთავრება დიდად დაეხმარებოდა აფხაზეთის სპორტის მოყვარულებს.

სამართლიანი იყო ხიკუბას მიერ სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელთა მიმართ გამოთქმული კრიტიკა. წლების განმავლობაში ამ საზოგადოების მესვეურები რაიონებს მხოლოდ ქაღალდებით ხელმძღვანელობენ, ადგილებზე იშვიათად აგზავნიან თავიანთ მუშაკებს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. თ. ზახაშვილმა ილაპარაკა საშუალო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის დაბალი დონის გამომწვევ მიზეზებზე.

რესპუბლიკის სკოლებში ყოველწლიურად უმჯობესდება ფიზკულტურის მასწავლებელთა შემადგენლობა, მაგრამ ბევრი მათგანი არაკეთილსინდისიერად იყენებს თავიანთ ცოდნას, შეთავსებით რამდენიმე ადგილას მუშაობს და სათანადოდ აღარ ზრუნავს აღსაზრდელთა მომზადების დონის ზრდაზე.

თბილისის 77-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ლონლაძე სკოლის გარდა მწვრთნელად მუშაობს სპორტსკოლაში, „ბურევესტნიკში“. მისი კვირეული დატვირთვა 49 საათს აღწევს. რასაკვირველია, მის მუშაობას ნაყოფი არ ექნება.

ამხ. თ. ზახაშვილი ვრცლად შეეხო აგრეთვე განათლების სამინისტროს სპორტული სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, მათი ინვენტარით მომარაგების საკითხებს.

საქართველოს კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ვ. ცხოვრებოვმა დამსწრეთ მოუთხრო სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურელთა ცხოვრების შესახებ და აღნიშნა მისი არასათანადო დონე. ამის მიზეზად მან მიიჩნია კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების შეუთანხმებელი მუშაობა.

სპორტული ცხოვრების მხატვრულ ლიტერატურაში ასახვის აუცილებლობაზე ილაპარაკა პოეტმა ი. ნონეშვილმა.

აქტივზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მ. კუჭავა, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. გეგეშიძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლ. დანილოვი.



# თამაშების ფინიშთან

◇

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 28 ოქტომბერი.

ოფიცერთა სახლი (თბილისი) — „ავანგარდი“ (სვერდლოვსკი) — 1:0 (0:0).

„ავანგარდი“ — ფილიპოვი, ნი...ოვი, ბელოუსოვი, პოტინი, ჩერ...ვანოვი კორობეინიკოვი, ბუ...ევი, ზაიცევსკი, კოჟევნიკოვი (...შენინი), ბროვკინი, კოჟევნიკოვი.

ოფიცერთა სახლი — ტიტოვი, ...ნავა, თორაძე, კვირკველია, ...ძე, რამიშვილი, დალაქიანი, ...კიძე, მელაშვილი, კურტანი...მენაბდე.

...აჯი ბ. ზაიონცი (ბაქო).

◇

...როც ყოველთვის, თბილისე... ხანგრძლივი შეტევით დაიწ...ამაში. ეერიში მიმდინარეობ...ვდამსხმელთა გაშლილი ფრონ... სწრაფი გადაცემებით, ბურთის ...ების გარეშე. სტუმრების დაც...უწყვეტლივ უხდებოდა ბრძო...ვისი საჯარიმო მოედნის ტე...იაზე, იმ ზონაში, რომელიც ... სახიფათოა კარისათვის.

უნდა ითქვას, რომ სვერდლოვსკელებმა მიუხედავად მოწინააღმდეგის ასეთი ძლიერი დაწოლისა, შეძლეს მოთამაშეთა ნორმალური განლაგების შენარჩუნება მინდორზე. უკან დახეული იყო მხოლოდ ზაიცევსკი, რომელიც რეალური დახმარებას უწევდა თავის ნახევარდაცვას და აკავშირებდა მას თავდასხმასთან. გარდა ამისა, სტუმრები მიმართავდნენ მაღალ გრძელ გადაცემებს იმ ვარაუდით, რომ ბუშუევი, კოჟევნიკოვი ან ბროვკინი შეძლებდნენ სწრაფად გასვლას ხელსაყრელ მდგომარეობაში და მომენტის გამოყენებას.

თბილისელები 30-35 წუთის განმავლობაში აწარმოებდნენ შეტევას, მაგრამ შედეგი არ იქნა მიღწეული. ამის მიზეზი გარდა თავდამსხმელთა არაზუსტი დარტყმებისა იყო ის, რომ ისინი ბურთს ერთმანეთს აწოდებდნენ ფეხში, რაც მის დამატებით დამუშავებას მოითხოვდა და „ავანგარდის“ მცველებს უადვილებდა ბრძოლას კარის წინ.

ტაიმის დასასრულს ავანგარდელებმა თითქმის გაათანაბრეს თამაში და ბროვკინმა კუთხური საჯარიმოდან მოწოდებული ბურთი ოდნავ ააცილა კარს თავით.

მეორე ტაიმი კვლავ არმიელთა შეტევით დაიწყო. სტუმრები საგანგებოდ ცდილობდნენ ჩაეკეტათ ნორაკიძე (კორობეინიკოვი საკმაოდ უხეშადაც ეთამაშებოდა მას), ამიტომ თავდასხმის ლიდერის როლი კურტანიძემ იკისრა. ეს მაღალი ტექნიკის მქონე ფეხბურთელი კარგად გადიოდა თავისუფალ ადგილზე და ზუსტად ანაწილებდა ბურთებს. მე-7 წუთზე ფილიპოვმა მოიგერია რამიშვილის მიერ დარტყმული საჯარიმო ბურთი და კურტანიძემ შეუჩერებლად, შესანიშნავი დარტყმით გაიტანა გოლი. კურტანიძე მთელი დარჩენილი დროის მანძილზეც აქტიურად ასრულებდა თავისი გუნდის შეტევების ორგანიზატორის როლს.

გოლმა გარკვეული სიცხოველე შეიტანა თამაშში. არმიელები უფრო დარწმუნებულად მოქმედებდნენ, მაგრამ თავის მხრივ „ავანგარდიც“ გაცილებით გააქტიურდა. ამ დაძაბულ ბრძოლაში ცხადად იგრძნობოდა თბილისელ ფეხბურთელთა დიდი ტექნიკური უპირატესობა, რის მეოხებითაც მათ ბოლომდე შეინარჩუნეს საერთო ინიციატივა. კარს აცდა დალაქიანის ძლიერი დარტყმა, გადამწყვეტ მომენტში ოდნავ დააგვიანა მენაბდემ, ხოლო კურტანიძემ მძიმე მდგომარეობიდან ზევიდან მოახვედრა ძელს ბურთი.

მატჩის ბოლო წუთებში „ავანგარდმა“ თავისი ყველა ძალები წინ გადაიყვანა ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ გამოცდილი დაცვის წინააღმდეგ სვერდლოვსკელთა ეს მანევრი უშედეგოდ დარჩა. ანგარიშით 1:0 მატჩი მოიგო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა.

ს. ჯიჯილავა

* * *

სურათზე: თამაშის მომენტი „ავანგარდის“ კართან. მეკარე ფილიპოვი ბურთს იღებს ნორაკიძესთან ბრძოლაში.

## ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 22 | 15 | 4 | 3 | 68:28 | 34 |
| „დინამო“ მ. | 22 | 10 | 8 | 4 | 45:31 | 28 |
| ცდსა | 22 | 10 | 5 | 7 | 40:32 | 25 |
| „დინამო“ კ. | 22 | 7 | 10 | 5 | 32:31 | 24 |
| „ტორპედო“ | 22 | 8 | 7 | 7 | 40:37 | 23 |
| „ბურევ“. | 22 | 9 | 5 | 8 | 38:49 | 23 |
| „შახტიორი“ | 22 | 7 | 7 | 8 | 30:39 | 21 |
| „დინამო“ თბ. | 22 | 8 | 4 | 10 | 42:46 | 20 |
| „ზენიტი“ | 22 | 4 | 11 | 7 | 27:43 | 19 |
| „ლოკომოტივი“ | 22 | 5 | 8 | 9 | 38:28 | 18 |
| ოფ. სახლი სვ. | 22 | 6 | 4 | 12 | 31:45 | 16 |
| „შრ. რეზერვ“. | 22 | 3 | 7 | 12 | 25:47 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოსკოვი. 28 ოქტომბერი. აქ გაიმართა 1956 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი“ და ცდსა.

ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა „სპარტაკმა“.

## ცხრილი

მდგომარეობა 31 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტოვი“ კუიბიშევი | 31 | 23 | 5 | 3 | 76.17 | 51 |
| ოფ. სახლი თბილისი | 31 | 22 | 7 | 2 | 91:26 | 51 |
| „სპარტაკი“ ერევანი | 31 | 16 | 9 | 6 | 63:24 | 41 |
| „ზენიტი“ იჟევსკი | 31 | 13 | 12 | 6 | 50:40 | 38 |
| „ნეფტიანიკი“ კრასნოდარი | 31 | 16 | 4 | 11 | 63:51 | 36 |
| „ტორპედო“ გორკი | 31 | 15 | 6 | 10 | 50:41 | 36 |
| „ნეფტიანიკი“ ბაქო | 31 | 14 | 6 | 11 | 66:51 | 34 |
| ქ. ვორონეჟი | 31 | 11 | 12 | 8 | 34:33 | 34 |
| „ავანგარდი“ ჩელიაბინსკი | 31 | 12 | 7 | 12 | 35:33 | 31 |
| „ავანგარდი“ სვერდლოვსკი | 31 | 10 | 10 | 11 | 39:44 | 30 |
| ქ. მოლოტოვი | 30 | 12 | 6 | 12 | 28:31 | 30 |
| „ტორპედო“ სტალინგრადი | 31 | 11 | 7 | 13 | 43:48 | 29 |
| „პახტაკორი“ ტაშკენტი | 28 | 10 | 6 | 12 | 33:40 | 26 |
| „კაირატი“ ალმა-ატა | 32 | 7 | 10 | 15 | 33:50 | 24 |
| „ტორპედო“ როსტოვი | 30 | 8 | 7 | 15 | 46:46 | 23 |
| „სპარტაკი“ ფრუნზე | 32 | 5 | 8 | 19 | 27:71 | 18 |
| „კოლხოზჩი“ აშხაბადი | 31 | 5 | 5 | 21 | 27:73 | 15 |
| „კოლხოზჩი“ სტალინაბადი | 30 | 1 | 5 | 24 | 19:104 | 7 |

* * *

28 ოქტომბრის მატჩი კუიბიშევის „კრ. სოვეტოვისა“ და როსტოვის „ტორპედოს“ შორის მოიგო „კრ. სოვეტოვმა“ — 2:1.

## „პენალტების მეფე“

უცხოეთის რამდენიმე სპორტულმა ჟურნალმა გადაწყვიტა გამოერკვია თუ ვინ იყო ფეხბურთის ისტორიაში პენალტების საუკეთესო დამრტყმელი. ამ მიზნით ჩატარებულ იქნა სპეციალური კვლევა-ძიება ფეხბურთის არქივში.

გამოირკვა, რომ ამ თავისებური რეკორდის მფლობელი ყოფილა ბელგიელი ფეხბურთელი რიკ დე სედლერი. თავისი 15-წლიანი სპორტული კარიერის მანძილზე მან 80-ჯერ დაარტყა 11-მეტრიანი საჯარიმო და მათგან 76 გოლით დამთავრდა. გარდა ამისა, ეს დარტყმები უმრავლეს შემთხვევაში გადამწყვეტ მომენტებში იყო შესრულებული.

რიკ დე სედლერი აღიარებულ იქნა „პენალტების მეფედ“.

# ისევ და ისევ...









წინასწარ ვიცით — დახედავს ჩვენი გაზეთის მკითხველი ამ სურათებს და იტყვის: ისევ, ისევ დანგრეული, დალეწილი, გაპარტახებული სტადიონი, სადმე მიყრუებულ სოფელში, ისევ ეს ჰუმორისტულ-სერიოზული ტექსტი იმის შესახებ, რომ...

მაგრამ, საქმე იმაშია, რომ, ეს „სტადიონი" სადმე მიყრუებულ სოფელში კი არ მდებარეობს, არამედ ზედ შუა ზესტაფონში და ყველაფერ ამაში, რასაც თქვენ სურათებზე ხედავთ, 1947 წლიდან მოყოლებული (სტადიონის მშენებლობა მაშინ დაიწყო) დახარჯულია, თითქმის ერთ მილიონ მანეთამდე. დიახ, დიახ, თითქმის ერთ მილიონ მანეთამდე.

კალმა რომ თქვას, სტადიონის საპარადო შესასვლელს არა უშავს (ფოტო № 1). ორი სიმეტრიული, არქიტექტურულად მოკაზმული კოლონის მსგავსი მოზრდილი ნაგებობა, რომლებზეც კარები ჰკიდია. მათ გვერდით ისეთივე, უფრო მომცრო სვეტები, პატარა კარებით. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ 145 ათასი მანეთი ძვირია ასეთი შესასვლელისათვის, მაგრამ, რას იზამ, სამშენებლო ხარჯთაღრიცხვა ჯიუტი რამეა. ღირს 145 ათასი მანეთი, მორჩა და გათავდა.

სამაგიეროდ მშენებლებს სრულიად უფასოდ დაუჯდათ ეს ტბა შესასვლელის წინ. მასში კაპეიკიც არაა გადახდილი.

გავაღეთ 145.000-მანეთიანი უძვირფასესი კარი, შევდგით ორიოდე ნაბიჯი სტადიონის ტერიტორიაზე და ვხედავთ მეორე „შესასვლელს" (ფოტო № 2). იგი ისეთი ლამაზი და მომხიბლავი არაა, როგორც საპარადო, მაგრამ მას ის დიდი უპირატესობა აქვს პირველთან შედარებით, რომ იგი თითქმის მუქთი დაჯდა. ჯებირი რომ ჩამოინგრა, ეს ფიცრები აჭედეს და აქ დატოვეს დიდი, დიდი ხნით.

ახლა ტრიბუნებისაკენ გავისეირნოთ (ფოტო № 3). ვერ ხედავთ ტრიბუნებს? როგორ გეკადრებათ, ეს ტრიბუნები გახლავთ, ნამდვილი ტრიბუნები. მერე რა, რომ აქ ძროხები დასეირნობენ და ეკალ-ნარს წიწკნიან. ძროხას ბოლოსდაბოლოს გაძევნი სტადიონიდან — სულ ერთია, საპარადო შესასვლელიდან, თუ სათადარიგოდან (კვლავ დაუბრუნდით № 1 და № 2 ფოტოებს), ჩამოჯდებით ქვათა გროვაზე და დატკბებით შესანიშნავი სანახაობით.

რომელი სანახაობით? აი, ამით (ფოტო № 4)—ფეხბურთის კარი ჩამოგლეჯილი ბადის ნარჩენით.

მეტი სურათების მოთავსება ჩვენ ვერ შევძელით, მაგრამ, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ესეც საკმარისია. რაც შეეხება ზესტაფონის ფიზკულტურისა და სპორტის მოღვაწეებს, ყველას, ვისაც საქმე აქვს ან ჰქონდა ამ სტადიონის მშენებლობასთან, გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვთ, უმზირონ იმ უმსგავსო სურათს, რომელსაც თვითონ ისინი სპორტულ ბაზას უწოდებენ რატომღაც.

* * *

ტექსტი ქ. ქინქლაძისა,
ფოტო ი. დავითაშვილისა.

# ადამიანები უსწრებენ ქარს

ინტერნაციონალური სამხედრო ჩემპიონატი ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე. 3 აგვისტო. პარასკევი. ხუთი ათასი მაყურებელი ტრიბუნაზე, ფინიშის სწორთან, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, როგორც პატარა, ჭრელი წერტილი ვეებერთელა ბეტონის ოვალზე. ათი სხვადასხვა ერის ჯარისკაცი მონაწილეობს ამ ტრადიციულ სამხედრო ჩემპიონატში.

მართალია, მონაწილეთა შორის არ იყო ცნობილი ემილ ზატოპეკი (ხალხმა იგი ომის დამთავრების შემდეგ პირველად ნახა სწორედ აქ), მაგრამ ზოგიერთი მსოფლიო მასშტაბის სპორტსმენის გვარი ხალისსა და იმედს აძლევდა ჩემპიონატს. უძლიერესთა შორის საუკეთესო იყო პატარა ზანგი შეერთებული შტატებიდან (მისი სიმაღლე ძლივს აღწევს 1,57 მ) გვარად აირა მერჩისონი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ გაიმეორა თავისი სახელოვანი თანამემამულის ჯესი ოუენსის მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში — 10,2.

...პატარა, მაგრამ ჩაფსკვნილი, ჯმუხა ზანგი წამოჩოქილიყო სასტარტო კალაპოტზე, ნერვიულად ელოდა პირველი წინასწარი გარბენის ნიშანს. გასროლა! ვამალებით ურტყამდნენ ზანგის ძლიერი ფეხები სარბენ ბილიკს. საკმაოდ წინ გაიჭრა, ელვის სისწრაფით უახლოვდებოდა ფინიშის ზონარს, სადაც ფოტორეპორტიორთა მთელი არმია ელოდა. წამმზომებმა აჩვენეს შედეგი — 10,3.

მისცეს მეორე წინასწარი გარბენის ნიშანი. უინტერესოდ გაცქეროდნენ რეპორტიორები სტარტს. აქ არაფერი იყო მოსალოდნელი. რის გაკეთება შეეძლო ვილი უილიამსს? დიდი, დიდი — 10,4. გაისმა დამბაჩის მკვეთრი ხმა. უილიამსი გამძაფრებით გაექანა წინ. ყოველ ნაბიჯზე იგი უკან იტოვებდა მეტოქეებს და როდესაც ფინიშის ზონარი მის მკერდს გაეკრა, უილიამსი 10 მეტრით წინ იყო ეგვიპტელ საიდზე...

თავები დაიხარნენ წამმზომებზე და მოულოდნელად ყველაფერი აირია. გაისმა ცალკეული წამოძახილები, ყვირილი, მილოცვა. მიკროფონმა გამოაცხადა: ვილი უილიამსმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 10,1. მერჩისონი იყო პირველი, რომელიც გადაეხვია გაოგნებულ ზანგს. ვილი კი ურწმუნო თვალებით დაცქეროდა წამმზომებს — ასე ყოფილა! სამივე ისარი აჩვენებდა 10,1. 24 წლის ზანგი აფექტის ატლეტი იყო. იგი, ვისაც არ ელოდა მელბურნში წასვლა, გახდა მსოფლიოში პირველი მძლეოსანი. რეპორტიორები რკალად შემოერტყნენ უილიამსს. პრესის წარმომადგენლები კითხვას კითხვაზე აყრიდნენ მომღიმარ ზანგს. ამიერიდან იგი აღარ იყო უცნობი.

ვინ არის ვილი უილიამსი? მხოლოდ ივნისში გამოემგზავრა იგი გერმანიაში ფორტ კნოხიდან (აშშ), სადაც სამხედრო სამსახურს იხდიდა. 1952 წლიდან მიუახლოვდა ვილი შეერთებული შტატების სპრინტერთა საუკეთესო ნაწილს. ოლიმპიურ საჩვენებელ რბენაში უილიამსი მეექვსე იყო (10,7), ხოლო მომდევნო წლებში აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონი გახდა 100 იარდზე რბენაში. 1955 წელს უილიამსი შედეგით 10,3 დადგა აგოსტინის, რიჩარდსისა და ფუტერე ის გვერდით. შემდეგ მან შეირთო ცოლი და განზრახული ჰქონდა მწვრთნელობა მძლეოსნობასა და ფეხბურთში.

...აირა მერჩისონმა სარეკორდო რბენის დამთავრების შემდეგ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ვილი არ მიდის მელბურნში. ამასთან პრესის წარმომადგენლებს გამოუცხადა, რომ კვირის ფინალში იგი გაასწრებს უილიამსს. მაგრამ ფინალამდე წინ იყო კიდევ ნახევარფინალი, სადაც მოხდა იშვიათი განმეორება: უილიამსმა მოიგო თავისი ნახევარფინალი 10,3-ში, ხოლო მერჩისონმა — 10,1-ში.

უნდა ითქვას, რომ ორივე მსოფლიო რეკორდი დამყარებულ იქნა იდეალურ, ინტერნაციონალური ნორმებისათვის შესატყვის პირობებში. ბილიკის სიგრძე უდრიდა 100,00 მეტრს, ქარმზომი უილიამსის შემთხვევაში აჩვენებდა — 0,7 მ წამში, ხოლო მერჩისონის შემთხვევაში — 1 მ წამში (ლიმიტი 2 მ წამში).

აირა მერჩისონი 1933 წლის თებერვალშია დაბადებული. მას ავარჯიშებს მწვრთნელი კოახი, რომელმაც ჯერ კიდევ ჰიგ-სკულში ურჩია მერჩისონს, თავი დაენებებინა სპრინტისათვის, რადგან იგი ვერასოდეს ვერ უჩვენებდა 100 იარდზე 9,6-ზე კარგ დროს. მაგრამ მერჩისონი ჯიუტი ახალგაზრდა იყო. 1952 წელს 100 მეტრი მან 10,6 გაირბინა, მომდევნო წელს კი აშშ-ის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. 1954 წელს იგი იყო გერმანიაში, სადაც ფუტერერთან ბრძოლაში 10,4 აჩვენა. შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ მერჩისონმა განაცხადა: „არასოდეს არ მივარჯიშია ისე ენერგიულად, როგორც წელს ფრანკფურტში. იმედი მაქვს, რომ მალე ავმაღლდები მსოფლიო რეკორდამდე" და მართლაც მან ორჯერ გაირბინა 100 მეტრი 10,2 წამში.

...საშინელი წვიმა ასხამდა ი... რას სტადიონ ოლიმპიაზე. 40.000-მა მაყურებელმა თავი შეაფარა დახურულ გალერეას. პატარა მდინარესავით ბრწყინავდა სარბენი ბილიკი. ბოლოს წვიმამ გადაიღო და საათნახევარში მასზე უკვე შესაძლებელი იყო შეჯიბრების ჩატარება. 5 სპრინტერი ემზადებოდა ფინალისათვის, ორი შიდა ბილიკი თავისუფალი იყო, დანარჩენებზე კი იდგნენ: უილიამსი, მერჩისონი, პაკისტანელი კპალიგ..., ფრანგი კახენი და იტალიელი რ... სენი.

სტარტი! მერჩისონი ისარივით მო... წყდა ადგილიდან. გამალებით მ... ძრაობდნენ მისი ფეხები, უფ... სრული და მოუხეშავი უილიამსი დ... ახლოებით ერთი მეტრის მოშორ... ბით მიჰყვებოდა მას. ძლიერი, ... გიული ნაბიჯებით უახლოვდე... იგი მერჩისონს და მოულოდნელ... მოხდა დაუჯერებელი. იგი დაე... მერჩისონს და გაასწრო კიდეც. 10... კვლავ უჩვენეს წამმზომებმა. მერჩისონის დრო იყო 10,2. ქარმზომ... ისარი გაიყინა იქ, სადაც ეწ... 0,55 მ წამში.

ხელიხელ ჩაკიდებულნი, ფო... რეპორტიორებითა და კორესპონდ... ტებით გარშემორტყმულნი ტოვებ... ნენ დიდი კონკურენტები სტადიონ... მერჩისონი ასე ფიქრობდა: „დი... ბულია ბილიკი ამ სტადიონზე და... მჯერა, რომ ხელსაყრელ პირობებ... და უკეთეს სულიერ მდგომარეობ... აქ შეიძლება 10,0 წამის ჩვენება".

ლ. ავალიანი

# ცოცხალი რუკა

შემოდგომაზე პიონერ-მოსწავლეები კვლავ უბრუნდებიან მშობლიურ სკოლას და სულმოუთქმელად უყვებიან ერთმანეთს ზაფხულის შთაბეჭდილებებს. ტურისტები კლუბსა თუ პიონერთა ოთახში შეიკრიბებიან, რომ გაწეული მუშაობის ანგარიში ჩააბარონ.

სულ სხვა პირობებში ჩააბარეს თავიანთი ტურისტული ლაშქრობის ანგარიში გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სკოლის მოსწავლეებმა.

ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ვენახი ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდეა გადაჭიმული. რთველში ნაყოფიერად მუშაობენ მოსწავლეებიც. კოლმეურნეებს ეხმარებიან უხვი მოსავლის აღებაში.

X კლასის მოსწავლეებმა იმ დღეს ხუთი ტონა ყურძენი მოკრიფეს.

სამუშაო დღე ადრე დამთავრდა, ვენახის პირას, მწვანეზე გაიშალა კოლმეურნეობის ნადი. აქ იყვნენ კოლმეურნეები, მოსწავლეები, სკოლის დირექტორი ვ. ავალიშვილი, მასწავლებელი თ. ბაბუხაძე. მოეწყო ტურისტული ლაშქრობის ანგარიში.

თავიანთი მარშრუტის რუკა ნორჩ ტურისტებს ზვარში არ გამოუტანიათ. მაგრამ რომელი რუკა შეედრებოდა ცამდე აზიდულ, თოვლგადანაყარ კავკასიონის მთებს, ჩამავალი მზის სხივებით გაჩირაღდნებულ ცივგომბორს და ჯადოქრულ ალაზანს? მთელი მათი მარშრუტი თვალწინ გადაშლილიყო. აი ჩრდილო-დასავლეთით ყადორის გადასასვლელი, მისი აღმოსავლეთით მთა საქორიწვერი, ამ მწვერვალს სამხრეთით დაუყვება საჯიხვის ქედი — იგი ზღვის დონიდან 2.500 მეტრი სიმაღლეზეა. მის ფერდობზე კოლმეურნეები ცხვრის ფარას აძოვებენ. საძოვრებს ქვემოთ ხშირი ტყით დაბურულ ხეობაში მოჰქუხს ამ მთებიდან წამოსული, კალმახებით სავსე მდინარე ინწობა.

სწორედ ინწობის შუა დინებაში, ნეკერჩხლისა და წიფლის ტყით დაჩრდილულ მოზრდილ მინდორზე, ზაფხულში ბავშვთა ტურისტულ სადგურს გამართული ჰქონდა ტურისტული ბანაკი, სადაც სადგურის ტურიზმის ინსტრუქტორების მეთაურობით და თავიანთი სკოლების მასწავლებლების თანხლებით კახეთის სხვადასხვა რაიონის მოსწავლეები ამთავრებენ თავიანთ ტურისტულ მარშრუტებს. ეს ბანაკი აწყობდა გასვლებს ინწობის ფიქალის წარმოებისა და ინწობჰესის დასათვალიერებლად. აქედან ადიოდნენ ყადორის გადასასვლელზე, მწვერვალ საქორისწვერზე.

ზღვის დონიდან 3.027 მ სიმაღლის არის ეს მწვერვალი, სადაც ბანაკიდან წასული ყველა ჯგუფი, ალპინისტების წესისამებრ, თავის ბარათს ტოვებდა და წინა ჯგუფის მიერ დატოვებულ ბარათს ხსნიდა. პირველად მოლაშქრეებმა ჯარისკაცების ბარათი ჩამოიტანეს; ისინი 1955 წლის აგვისტოში ასულიყვნენ საქორისწვერზე. ამ მწვერვალიდან კარგად ჩანს დაღესტნის მთები, ხეობები, მდინარეები და სოფლები — ხელისგულზეა გადაშლილი მთელი ალაზნის ველი. ახლა კი ალაზნის პირას, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, ველისციხის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ ც. მიქაბერიძემ უამბო მოსწავლეებსა და კოლმეურნეებს იმ სიძნელეებისა და სიხარულის შესახებ, რომლებიც მათ დაძლიეს და განიცადეს ტურისტულ ლაშქრობაში.

აქვე ველისციხელ მოსწავლეებს გადაეცათ „საბჭოთა კავშირის ტურისტის" სამკერდე ნიშნები.

გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ა. ქავთარაძემ ბავშვებს უსურვა წარმატება სწავლაში, შრომასა და მშობლიური მხარის შესწავლაში და აღუთქვა, რომ მათ მიერ გამომუშავებული შრომადღეების საზღაურად განათლების განყოფილება ტურისტული სადგურის დახმარებით ზამთრის არდადეგების პერიოდში მოუწყობს ექსკურსიას თბილისში და სათხილამურო შეკრებას დაბა ბაკურიანში.

მ. ერისთავი

# არაჩვეულებრივი შეხვედრა

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გროსმაისტერი სამუილ რეშევსკი ამ დღეებში მეტად დაფიქრებული დადიოდა. ზოგიერთს ეგონა, რომ იგი ბოტვინიკთან ან რომელიმე ცნობილ მოჭადრაკესთან აპირებდა შეხვედრას. შეხვედრისათვის რომ ემზადებოდა, ეს მართალი იყო, მხოლოდ საჭადრაკო დაფასთან მის მოწინააღმდეგედ უნდა ყოფილიყო... საანგარიშო მანქანა — „მექანიკური მოჭადრაკე".

დადგა ეს დღეც.

პირველი სვლა. „მექანიკური მოჭადრაკე" საპასუხო სვლას აკეთებს. ფიგურის ახალი გადაადგილება. საპასუხო სვლა. მაყურებლები აღტაცებას გამოთქვამდნენ მოწინააღმდეგეთა ზუსტი თამაშის გამო. ბოლოს სამუელ რეშევსკი გაღიმებული ფეხზე წამოდგა. ყა... მი! — ხმამაღლა თქვა და ანგარი... მიუცემლად ხელი გაუწოდა მოწინააღმდეგეს.

„მექანიკური მოჭადრაკე" სპეციალური პროგრამის გამოყენებ... არც ისე ცუდად თამაშობს. ი... ხშირად მოწინააღმდეგის შეცდ... მებსაც იგებს და „გულკეთილ... შენიშვნებს აძლევს თავის მეტ... ქეს.

ა. კვალაძ...

რედაქტორი ი. უზულავ...

3

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 06348